ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტი

გზამკვლევი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

2021-2022 სასწავლო წელი

2021-2022 სასწავლო წელი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფსიქოლოგიის მეცნიერებაში და მის სხვადასხვა დარგებში ფუნდამენტური ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენება. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, გაეცნობიან ფსიქოლოგიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოდიაგნოსტიკა, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ასევე, განწყობის ფსიქოლოგია - ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვარი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტიდან ფსიქოლოგიური მეცნიერებების საგნები **120 კრედიტს** მოიცავს, რომლებიც განაწილებულია დონეების მიხედვით: I დონეზე სტუდენტმა უნდა აიღოს 20 კრედიტი, II დონეზე - 60 კრედიტი და III დონეზე - 40 კრედიტი (სავალდებულო საგნები -15 კრედიტი, არჩევითი - 25)

სასწავლო გეგმა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან.

სავალდებულო საგანი – სტუდენტმა აუცილებლად უნდა აიღოს ამ საგნის კრედიტი.

არჩევითი საგანი – სტუდენტმა შეიძლება არჩევითი საგნებიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო და მიმზიდველი საგანი არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში.

წელიწადში სტუდენტს შეუძლია აიღოს 60–65 კრედიტი. შესაბამისად, სემესტრში შესაძლებელია 30–35 კრედიტის აღება, თუმცა კრედიტების რაოდენობამ 65–ს არ უნდა გადააჭარბოს. მხოლოდ დამამთავრებელი, მე–8 სემესტრის სტუდენტებს შეუძლიათ აიღონ 40 კრედიტი, თუ უკვე დაგროვილი აქვთ 200 კრედიტი.

სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი პროგრამა (მაინორი) - თსუ–ს სხვა ფაკულტეტიდან მისთვის საინტერესო სფეროს მიხედვით (60 კრედიტი). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს მაინორის არჩევის სურვილი, მან შეიძლება დარჩენილი კრედიტები შეავსოს მისთვის საინტერესო საგნებით ფსიქოლოგიაში.

საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, რომლიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ–ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდება ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსოს სხვა კრედიტებით.

პირველ დონეზე სტუდენტი ეუფლება იმ საბაზისო ცოდნას, რაც მას ესაჭიროება ფსიქოლოგიური მეცნიერებების წარმატებით შესასწავლად. ამ დონეზე სტუდენტი შეისწავლის როგორც ფსიქოლოგიის ძირითად, საბაზისო საგნებს, ასევე, მონათესავე მეცნიერებებსაც, რაც მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ცოდნის მისაღებად.

გაზაფხულის სემესტრი

სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა	**არჩევითი კურსები**	კრედიტების რაოდენობა
ფსიქოლოგიური		*სხვა მეცნიერებები*	
ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	შესავალი სოციალურ მუშაობაში *	5
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	5	მსოფლმხედველობრივი პარადიგმები*	5
სხვა მეცნიერებები	5	შესავალი ანთროპოლოგიაში	5
სტატისტიკა 2	5	შესავალი პედაგოგიკაში*	5
ინგლისური ენა 2	5	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	5
* შესავალი სოციოლოგიაში[1]	5		
* აკადემიური წერა	5		

[1] *-ით აღნიშნული კურსები იკითხება ორივე სემესტრში. სტუდენტების ნაწილი მათ გაივლის შემოდგომის, ნაწილი - გაზაფხულის სემესტრში.

პირველი დონის სასწავლო კურსები
შემოდგომის სემესტრი

სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა	**არჩევითი კურსები**	კრედიტების რაოდენობა
ფსიქოლოგიური		*სხვა მეცნიერებები*	
ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5	შესავალი სოციალურ მუშაობაში *	5
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	5	მსოფლმხედველობრივი პარადიგმები*	5
სხვა მეცნიერებები		ლოგიკა	5
სტატისტიკა 1	5	შესავალი პედაგოგიკაში *	5
ინგლისური ენა 1	5		
შესავალი სოციოლოგიაში *	5		
აკადემიური წერა *	5		

პირველი წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აიღოს:

- **50 კრედიტი - სავალდებულო საგნები**
- **10 კრედიტი - არჩევითი საგნები**
- **5 კრედიტის მოგროვება შესაძლებელია თავისუფალი სა-ფაკულტეტო ან საუნივერსიტეტო არჩევითი საგნებითაც.**

მეორე დონეზე სტუდენტები დაეუფლებიან ფუნდამენტურ ცოდნას საკუთრივ ფსიქოლოგიის მეცნიერებაში, შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს ფსიქოლოგიის დარგების მიხედვით და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძ-ვლებს.

მეორე დონის სასწავლო კურსები

	კრედიტების რაოდენობა
სავალდებულო კურსები (შემოდგომის სემესტრი)	
კოგნიტური ფსიქოლოგია 1	5
სოციალური ფსიქოლოგია 1	5
ადამიანის განვითარება 1	5
პიროვნების ფსიქოლოგია 1	5
ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1	5
* შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია	5
* განათლების ფსიქოლოგია	5
სავალდებულო კურსები (გახაფხულის სემესტრი)	
კოგნიტური ფსიქოლოგია 2	5
სოციალური ფსიქოლოგია 2	5
ადამიანის განვითარება 2	5
პიროვნების ფსიქოლოგია 2	5
ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2	5
* შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია	5
* განათლების ფსიქოლოგია	5

არჩევითი კურსები	
* ქცევის გამოყენებითი ანალიზი	5
ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის საფუძვლები [2]	5

შესაბამისად, მეორე დონეზე, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი ფსიქოლოგიის მეცნიერებებში - შეისწავლოს სპეციალობის საგნები.

სტუდენტს პროგრამა არჩევით საგანებსაც სთავაზობს.

[2] ცხადდება მხოლოდ ან გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრში

მესამე დონეზე სტუდენტმა უნდა აიღოს:

15 კრედიტის **სავალდებულო** საგნები (განწყობის ფსიქოლოგია 1, 2; კვლევითი ნაშრომი)

25 კრედიტი არჩევითი ფსიქოლოგიური საგნებიდან

სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ ცოდნა ფსიქოლოგიური დარგების/კონცენტრაციის მიხედვით. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია ხუთი კონცენტრაცია ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტების მიხედვით[3] :

- განათლების ფსიქოლოგია
- კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია
- პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია
- სოციალური ფსიქოლოგია
- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია

თავისუფალი საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო არჩევითი საგნებისთვის პროგრამაში გათვალისწინებულია 20 კრედიტი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას შეგიძლიათ გაეცნოთ: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/BA-fsiqologia-programa_04.02.19_46622.pdf

დამატებითი პროგრამა ფსიქოლოგიაში (მაინორი)

ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი პროგრამა (მაინორი) ფსიქოლოგიაში ძირითად პროგრამაზე სწავლების მეორე წლიდან.

დამატებით პროგრამაში სტუდენტებმა უნდა დააგროვონ **60 კრედიტი:**

საბაზისო სავალდებულო - 20 კრედიტი

- ფსიქოლოგიის საფუძვლები 1, 2
- კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1,2

[3] სტუდენტი თავისუფალია არჩევანში და შეუძლია არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილი 25 კრედიტი შეავსოს ნებისმიერი კონცენტრაციიდან საკუთარი ინტერესის შესაბამისად.

სავალდებულო–არჩევითი - 20 კრედიტი

- კოგნიტური ფსიქოლოგია 1, 2
- სოციალური ფსიქოლოგია 1, 2
- განვითარების ფსიქოლოგია 1, 2
- პიროვნების ფსიქოლოგია 1, 2

ჩამოთვლილი საგნებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს **ორი ორსემესტრიანი** კურსი და გაიაროს არჩეული საგნის ორივე ნაწილი – 1 და 2.

არჩევითი - 20 კრედიტი

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს კრედიტები ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეორე ან მესამე დონის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი საგნებიდან.

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

https://www.tsu.ge

ასევე, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში და

სტუდენტთა მომსახურების ცენტრში

ჭავჭავაძის გამზ. 11, თსუ III კორპუსი, ოთახი 107

ცხელი ხაზი: 2250484

ელ-ფოსტა: tsu.psychology@tsu.ge